

## წინასიტყვაობა



კონსტიტუციური სამართლის დარგის განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია აკადემიური დისკუსია აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე. მეცნიერების, იურიდიული პროფესიის პრაქტიკოსებისა თუ ახალგაზრდა მკვლევარების საქმიანობას ღირებული წვლილი შეაქვს კონსტიტუციური სამართლის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებაში. აქტიური აკადემიური პლატფორმა ეხმარება

როგორც კონსტიტუციონალიზმის შინაარსისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების სტანდარტების ახლებურ გააზრებას, იგი ასევე უზრუნველყოფს სამართლებრივი მსჯელობის პროცესში ფართო საზოგადოებრივ თანამონაწილეობას.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა ეძღვნება რიგი კონსტიტუციურსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების განხილვას, რომელებიც რელევანტურია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. გამოცემა აერთიანებს ქართველი ავტორების ექვს აკადემიურ ნაშრომს და, ასევე, უცხოელი ავტორის წიგნის მიმოხილვას. კერძოდ, ჟურნალში თავმოყრილია ქართველი მკვლევარების ნაშრომები ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე, როგორცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია (პროფესორ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ევა გოცირიძის ავტორობით), საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციურსამართლებრივი გააზრება (ასოც. პროფესორ თინათინ ერქვანას ავტორობით), შეწყალების საპრეზიდენტო უფლებამოსილება (ასოც. პროფესორ თამარ ავალიანის ავტორობით), ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებში მტკიცებულებითი სტანდარტები (პროფესორ მარინე კვაჭაძის, ნათია ჯუღელისა და ელენე ღვინჯილიას ავტორობით), კანონის უკუძალის აკრძალვის საკითხი მატერიალურ სისხლის სამართალში (ასოც. პროფესორ, მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძის ავტორობით), საერთაშორისო ხელშეკრულებების *ex post* საკონსტიტუციო კონტროლი (გიორგი ნაკაშიძის ავტორობით) და იანივ როზნაის წიგნის მიმოხილვა არაკონსტიტუციური საკონსტიტუციო ცვლილებების თემაზე (პროფესორ მალხაზ ნაკაშიძის ავტორობით).

ამასთანავე, წინამდებარე გამოცემაში მოცემულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2021 წელს გამოტანილი ორი პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიმოხილვა. კერძოდ, ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 („გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 („გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) გადაწყვეტილებების მიმოხილვას. პირველ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების კონსტიტუციურობა არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაყოლიებისათვის, ხოლო მეორე გადაწყვეტილებაში იმსჯელა ჩხრეკის ჩატარების მიზნისა და საფუძველის, ასევე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მტკიცებულებითი სტანდარტის მომწესრიგებელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების კონსტიტუციურობის საკითხზე.

მოხარული ვარ, რომ განახლების შედეგად „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ სარედაქციო საბჭოს შემადგენლობას დაემატა რამდენიმე გამორჩეული ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარი ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. წარმომადგენლობითი სარედაქციო საბჭო აამაღლებს გამოცემის ავტორიტეტს და უკეთეს შესაძლებლობას გაუჩენს, ერთი მხრივ, ქართველ ავტორებს, საერთაშორისო საზოგადოებას გააცნონ საკუთარი ნაშრომები, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ქართველი მკითხველის ხელმისაწვდომობას საერთაშორისოდ აღიარებული არაერთი მკვლევარისა თუ პრაქტიკოსის ნაშრომისადმი.

პროფესორი მერაბ ტურავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე